ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. ოქტომბრის 25. № 26 ცხილისი

შინაარსი

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

149. საქართველოს სსრ 1936 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შედგენის შესახებ.

მრეწველობა.

150. მზესუმზირის ზეთად გადამუშავებისა და გაყიდვის აკრძალვის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

151. საშემოდგომო თესვის გეგმის შესახებ 1935 წლისათვის.

152. 1935 წლის მოსავლიდან მარცვლეული კულტურების სადაზღვეო სათესლე ხელუხლებელი ფონდების დაგროვება-განახლების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

153. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1935 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებამდე თამბაქოს ნედლეულის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

154. ადგილობრივი საბჭოების მიერ მუშათა და გლეხთა მილიციის დაწესებულებებისა და ნაწილებისათვის გასაწევი კომუნალური მომსახურეობის შესახებ.

ფინანსები.

155. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი უწყებებისა და დაწესებულებების სპეციალურ სახსართა დებულების გაუქმების შესახებ.

156. არაკოოპერირებულ საშინამრეწველო-სახელოსნო სარეწაოების მუდმივი შემოსავლის მქონე კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადიდებული განაკვეთების შესახებ

სისხლის სამართალი.

157. კოლმეურნეთაგან ნასამართლეობის მოხსნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

149. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ 1936 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შედგენის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის აგვისტოს 10-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა რესპუბლიკანურ უწყება-ორგანიზაციას და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) წარადგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში არა უგვიანეს მიმდინარე წლის სექტემბრის 8-ისა რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის მეურნეობის დარგთა განვითარების გეგმები 1936 წლისათვის განმარტებითი ბარათებით, ხოლო სადარგო-საფინანსო გეგმები წარუდგინონ სახელმწიფო-საგეგმო კომისიას და ფინანსთა სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს სექტემბრის 13-ისა;

ბ) წარადგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში არა უგვიანეს სექტემბრის 10-ისა 1936 წლის გეგმების შესაბამისად ზედმიწევნით დამუშავებული განაცხადები ნედლეულზე, სათბობ მასალაზე, სხვადასხვა მასალებზე და მოწყობილობაზე 1936 წლისათვის;

გ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა წარუდგინონ არა უგვიანეს მიმდინარე წლის სექტემბრის 13-ისა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს 1936 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების პროექტები.

2. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს წარადგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში არა უგვიანეს მიმდინარე წლის სექტემბრის 8-ისა ადგილობრივი მეურნეობის განვითარების გეგმები 1936 წლისათვის, სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ სახელმძღვანელოდ მიცემული ფორმებისა და მითითებების მიხედვით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარადგინოს ა/კ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში მიმდინარე წლის სექტემბრის 15-ისათვის რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის სახალხო მეურნეობის დარგთა განვითარების გეგმების პროექტი, ხოლო საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა წარადგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში 1936 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების პროექტი.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედ საკავშირო-სსრ განიზაციებს და საწარმოებს წარადგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში მიმდინარე წლის სექტემბრის 20-ისათვის იმ გეგმების ასლები, რომელთაც ისინი ადგენენ ცენტრში.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს მიმდინარე სექტემბრის 20-ისა 1936 წლის სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის პროექტი.

6. დაევალოს საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს, ცეკავშირს და ყველა მოვაჭრე ორგანიზაციას წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას არა უგვიანეს მიმდინარე წლის სექტემბრის 15-ისა საქონელბრუნვის გეგმა 1936 წლისათვის.

7. გეგმების თავის დროზე შედგენისა და განხილვის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, სახალხო კომისარიატებთან ერთად, გეგმების შედგენის სამუშაოთა სავსებით დამთავრებამდე (სექტემბრის 8) განიხილოს ხოლმე გეგმების დანასახები ცალკეული დარგების, ობიექტებისა და მაჩვენებლების მიხედვით და შეიტანოს მათში კორექტივები შედგენისა და დამუშავების პროცესში.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—1936 წლის სახალხო მეურნეობის გაერთიანებული გეგმა, ხოლო საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—1936 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების პროექტები წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად მიმდინარე წლის სექტემბრის 25-ისათვის.

9. დაევალოს ყველა უწყებას და ორგანიზაციას 1936 წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმები შეადგინონ მშენებლობის ღირებულების შემცირების ანგარიშში მიღებით, როგორც ცალკეული დარგების, ისე ცალკეულ ობიექტთა მიხედვით.

10. აეკრძალოს ყველა სახალხო კომისარიატს და ორგანიზაციას, რესპუბლიკანურ ორგანოებში გეგმების განხილვამდე, მისცენ შვებულება იმ მომუშავეთ, რომელნიც მონაწილეობას ღებულობენ 1936 წლის გეგმების შედგენა-დამუშავებაში, და წინადადება მიეცეს მათ, საჭირო შემთხვევაში, გამოიწვიონ ხოლმე ხსენებული მომუშავენი შვებულებიდან.

11. ა/კსფრ სახალხო კომისართა საბჭოს მიმდინარე აგვისტოს 10-ის დადგენილების თანახმად გაფრთხილებულ იქნან სახალხო კომისარიატები და დაწესებულებები, რომ 1936 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა უნდა შედგენილ და დამუშავებულ იქნას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ სა-

ხელმძღვანელოდ ნოცემული ყველა მაჩვენებლისა და ფორმის მიხედვით და წარდგენილ ამა დადგენილებით დაწესებულ ვადებზე სათანადო ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთებით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. აგვისტოს 15. № 1069.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 194 №-ში 1935 წ. აგვისტოს 21.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა.

150. დადგენილება ს.კ.ს.

მზესუმზირის ზეთად გადამუშავებისა და გაყიდვის აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

აიკრძალოს მზესუმზირის თესლის გადამუშავება ზეთად და მზესუმზირის თესლისა და ზეთის გაყიდვა სავაჭრო მოედნებსა და ბაზრებზე სიღნაღის, გურჯაანის, ლაგოდეხისა და საგარეჯოს რაიონებში და აგრეთვე ტფილისის ბაზარზე, სანამ ხსენებული რაიონები არ შეასრულებენ 1935 წლის მოსავლის მზესუმზირის ჩაბარების გეგმას კონტრაქტაციის მიხედვით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1935 წ. აგვისტოს 21. № 1081.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 195 №-ში 1935 წ. აგვისტოს 22.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

151. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

საშემოდგომო თესვის გეგმის შესახებ 1935 წლისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. განსაზღვრულ იქნას საშემოდგომო თესვის გეგმა 1935 წლისათვის 281.590 ჰექტარის რაოდენობით, მათ რიცხვში, მარცვლოვანი კულტურები—

273.330 ჰექტ., საკვები კულტურები—5.750 ჰექტ. და მებოსტნეობის კულტურები—2.510 ჰექტ. რაოდენობით; ამასთანავე განაწილდეს აღნიშნული გეგმა შემდეგნაირად სექტორებისა და კულტურების მიხედვით:

	მარცვლოვანი				სხვა კულტ.		სულ
	ხორბ.	ქერი	ჭვავი	სულ მარცვ.	მებოსტნეობ.	ნათესი ბალახ.	
1. კოლ. მეურნ.	112320	9440	2210	123970	1135	6060	180165
მ. შ. კოლმ., რომელთაც მომსახ. უწევენ მტს-ები	92155	8850	1440	102445	835	2370	105660
კოლმ. რომელთაც მტს-ები მომსახ. არ უწევენ.	20165	590	770	21525	300	2590	24515
2. ერთპ. მეურნ.	122830	9080	2120	134030	1250	110	135390
სულ საკოლმეურნეო საგლეხო სექტორში	235150	18520	4330	258000	2385	5170	265555
3. მიწსახკომის სისტემის საბჭ. მეურნ.	10020	4920	390	14330	125	580	16035
ს უ ლ	245170	23440	4720	273330	2510	5750	281590

2. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა რაიონებისა და სექტორების მიხედვით დამტკიცებულ იქნას.

3. განსაზღვრულ იქნას 1935 წლის ნათესი საშემოდგომო მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობის შემდეგი გეგმა (1 ჰექტარზე): ხორბალი—10,5 ცენტნ., ქერი—11,0 ცენტნ., ცალკეულ რაიონებში მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობა რაიონებში
1 ჰექტარზე ცენტნერობით

რაიონები	ნავარაუდევი 1936 წლისათვის	რაიონები	ნავარაუდევი 1936 წლისათვის
1. ახალციხის	12,0	13. ტფილისის	9,5
2. ადიგენის	12,0	14. ყარაიას	13,0
3. ასპინძის	11.0	15. ბორჩალოს	13,0
4. ხაშურის	11,5	16. ლუქსემბურგის . . .	11,5
5. გორის	10,0	17. წალკის	—
6. კასპის	9,5	18. დუშეთის	9,0
7. ბორჯომის	12,0	19. აღბულახის	12,0
8. გურჯაანის	11,0	20. საგარეჯოს	9,5
9. სიღნაღის	11.0	21. ბაშკიჩეთის	13,0
10. თელავის	10,5	22. თიანეთის	7,5
11. ყვარლის	14,5	23. სამხრეთ-ოსეთის ავტ.	
12. ლაგოდეხის	17,5	ოლქი	0,5

საშემოდგომო ქერის მოსავლიანობა რაიონებში:
1 ჰექტარზე ცენტნერობით

1. ხაშურის	10,5	9. ლაგოდეხის	16,0
2. გორის	9,0	10. ტფილისის	9,5
3. კასპის	8,5	11. ყარაიას	12,0
4. ბორჯომის	—	12. ბორჩალოს	13,0
5. გურჯაანის	11,0	13. ლუქსემბურგის . . .	12,0
6. სიღნაღის	11,0	14. დუშეთის	10,5
7. თელავის	11,5	15. აღბულახის	14,0
8- ყვარლის	14,5	16. საგარეჯოს	10,0
		17. ბაშკიჩეთის	12,5

საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტმა, პარტიის სარაიონო კომიტეტებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა მოახდინონ რაიონებისათვის დაწესებული საშუალო მოსავლიანობის დიფერენციაცია ცალკეული სექტორების და სასოფლო საბჭოების მიხედვით.

4. რადგან ზოგიერთ რაიონში (ბორჩალოს, ყარაიას, თელავის და სხვა რაიონები), სარაიონო ორგანიზაციების და აგროპერსონალის უყურადღებობის გამო, ირღვევა დაწესებული თესლბრუნვები, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ავალებენ სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს—სავსებით გამოასწორონ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს კოლმეურნეობებში დარღვეული თესლბრუნვები და 1935 წლის საშემოდგომო თესვის, 1936 წლის საგაზაფხულო თესვის და მძრალად ხვნის გეგმები ყველა კოლმეურნეობაში, სადაც თესლბრუნვები დაწესებულია, განსაზღვრონ მიღებული თესლბრუნვების და მათზე გადასვლის გეგმის შესაბამისად. კოლმეურნეობებში თესლბრუნვის შემოღების გეგმა ცალკეული რაიონების მიხედვით დამტკიცებულ იქნას ამასთანავე დართული ცხრილის მიხედვით (იხ. დანართი).

სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებმა უზრუნველყონ იმ კოლმეურნეობებში, სადაც თესლბრუნვა დაწესებულია, თესვის დავალებათა სწორი განაწილება მიმდინარე წლის შემოდგომაზე და აგრეთვე მიწის ნაკვეთების გამოყოფა საანეულოდ და მძრალად სახნავად.

5. მოხვნა ნასვენის, ნაპურალისა და სათესი ბალახისაგან განთავისუფლებული მიწებისა, რაც დანიშნულია საშემოდგომო კულტურების დასათესად 1935 წელს, ყველა რაიონში დამთავრებულ იქნას 20-30 დღით ადრე თესვის დაწყებამდე.

6. საშემოდგომო მარცვლოვანი კულტურების დასათესად იმ მიწაზე, რომელზედაც სათოხარი კულტურა იყო, ამ უკანასკნელის აღებისთანავე აუცილებლად უნდა ჩატარდეს მოხვნა ფრთამოუხსნელი გუთნებით 14-16 სანტიმეტრის სიღრმეზე, ხოლო დანაგვიანებულ ფართობზე—18-20 სანტიმეტრის სიღრმეზე.

7. ყველა რაიონში ჩატარდეს ნიადაგის ზედმიწევნით დამუშავება თესვის წინ (გადახვნა, აოშვა, კულტივაცია და გაფარცხვა) ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას ნიადაგის სრული დამუშავება და სარეველა ბალახების მოსპობა; ამასთანავე, აღკვეთილ უნდა იქნას თესვა დაუმუშავებელ ნიადაგზე.

აკრძალულ იქნას ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ადიგენის, ასპინძის და წალკის რაიონებში და ყველა სხვა რაიონებში დათესვა მოუხნავ მინდვრებში.

8. რადგან ანეულის მოვლა არადამაკმაყოფილებელია, ხოლო ზოგიერთი რაიონში (ბორჩალოს და საგარეჯოს რაიონები) მისი დამუშავება სრულიად არ წარმოებს, დაევალოს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს—დაამთავრონ მიმდინარე წლის სექტემბრის 1-თვის ანეულის ღრმა გადახვნა და უზრუნველყონ მისი სავსებით განთავისუფლება სარეველა ბალახისაგან.

9. დაწესებულ იქნას საშემოდგომო მარცვლოვანი კულტურების თესვა რაიონებში შემდეგ ვადებზე (იხ. დანართი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო კომიტეტმა და პარტიის სარაიონო კომიტეტებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა დააწესონ თესვის დიფერენცირებული ვადები ცალკეული ზონებისა და სასოფლო საბჭოებისათვის, თვითეული მასივის თავისებურებათა გათვალისწინებით, ისე, რომ თესვა პირველ რიგში ჩატარდეს ანეულზე და ნაპურვალზე, და წარმოუდგინონ ეს ვადები დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ა/წ. სექტემბრის 1-თვის.

10. საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტმა, პარტიის სარაიონო კომიტეტებმა, სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა—უზრუნველყონ ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობით შემოდგომის თესვის ჩატარება ამ დადგენილებით დაწესებულ ვადებზე ისე, რომ თესვის წარმოებისათვის თვითეულ ზონასა, სოფელსა და უბანში შერჩეულ იქნას ყველაზე ხელსაყრელი ამინდის პირობები.

11. ცნობილ იქნას, რომ ნათესის სითხელის ერთერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენენ თესლის დაბალი ნორმები, საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტმა, პარტიის სარაიონო კომიტეტებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა გადასინჯონ საშემოდგომო პურეულის თესვის არსებული ნორმები მათი გადიდებისათვის, დააწესონ თესვის დიფერენცირებული ნორმები, რაც უზრუნველყოფს პურეულის სათანადო სიხშირეს, და წარმოუდგინონ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

თესვის დიფერენცირებული ნორმების დაწესების დროს სახელმძღვანელოდ უნდა იქნას მიღებული თესლის ჯიში და ხარისხი, ნიადაგის პირობები და კლიმატური პირობები (ცალკეულ ზონებში), ნიადაგის დამუშავების პირობები, თესვის ვადები, მიწის ნაკვეთების დანაგვიანება, საშემოდგომო ნაკვეთის წინამორბედი კულტურა (ანეული, ნაპურალი, სათოხარი კულტურა), თესვის წესები (მწკრივად, გაბნევით) და სხვა.

12. მწკრივად თესვის გეგმა საკოლმეურნეო სექტორში განსაზღვრულ იქნას 38,780 ჰექტარის რაოდენობით, მათ რიცხვში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ტრაქტორებით—21.000 ჰექტ.. სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა ჩაატარონ ადგილობრივ მთესველთა ხუთდღიური კურსები და მიამაგრონ ისინი განსაზღვრულ სათეს მანქანებზე თესვის მთელი პერიოდის განმავლობაში.

13. საშემოდგომო მარცვლოვანი კულტურების თესვის დამტკიცებული გეგმისა და თესლის მიღებული ნორმების შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობათა სათესლე ფონდის 100% შეგროვება და 10-15% სადაზღვევო ფონდის შეგროვება საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორში იმ ანგარიშით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ხელმეორედ გაწმენდა, სათესლე მასალის ხარისხის გამორკვევა და, საჭიროების შემთხვევაში, გადაცვლა დამთავრებულ იქნას 10 დღით ადრე თესვის დაწყებამდე.

14. ჩატარებულ იქნას ყველა სექტორში მთელი სათესლე მასალის სავალდებულო განიავება და დახარისხება ისე, რომ მრავალჯერადი ტრიერირების საშუალებით მიღწეულ იქნას თესლის მაღალი კონდიციურობა.

თუ თესლის კონდიციურობის დაწესება მრავალჯერადი ტრიერირებით შეუძლებელია იმის გამო, რომ სათესლე მასალა დანაგვიანებულია ძნელად—მოსაშორებელი თესლით, აუცილებლად უნდა მოხდეს მისი გადაცვლა, ამასთან აღკვეთილ უნდა იქნას არაკონდიციური მასალით თესვა.

15. ჩატარებულ იქნას სათესლე მასალის აუცილებელი ხარისხობრივი შემოწმება სათესლე-საკონტროლო ლაბორატორიებში ყველა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და არა ნაკლებ თესლის 15%-ისა ერთპიროვნულ მეურნეობებში, თესლის ნიმუშის გადარჩევა ანალიზისათვის დაეკისროს აგრონომებს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების თანადასწრებით, ამასთან შედგენილ უნდა იქნას სათანადო აქტები.

მარცვლოვანი კულტურების თესლი, რომლის აღმოცენების უნარი 90%-ზე ნაკლებია, სრულიად არ უნდა იქნას გამოყენებული დასათესად და იგი აუცილებლად გადაცვლილ უნდა იქნას საკონდიციო თესლზე.

იმ სათესლე მასალის დათესვის ნორმა, რომელიც აღმოცენებისა და სიწმინდის მხრივ კონდიციურია, მაგრამ რომლის სასოფლო-სამეურნეო ვარგისობა 100%-ზე ნაკლებია, გადიდებულ იქნას დანაკლისი პროცენტის რაოდენობით.

16. საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტმა, პარტიის სარაიონო კომიტეტებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უზრუნველყონ საკონტროლო სათესლე ლაბორატორიების მუშაობის შემოწმება, თესლის ნიმუშების გადარჩევისა და შეტანის, სათესლე მასალის სამეურნეო ვარგისობის ლაბორატორიებში გამორკვევის მიმდინარეობის და აგრეთვე თესლის ანალიზის შედეგების გამოყენების შემოწმება.

17. მთელი სათესლე მასალის ვარგისობის გამორკვევის შემდეგ აუცილებლად ჩატარებულ უნდა იქნას მისი გაწამლვა ყველა საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში. კოლმეურნეობებში გამოყოფილ უნდა იქნას გამგეობის წევრი, რომელსაც პერსონალურად დაეკისრება მუშაობა თესლის გაწამლვის ჩასატარებლად, აგრონომის ხელმძღვანელობით.

იმ მუშაკების შრომის სასყიდელი, რომელნიც კოლმეურნეობებში თესლის გაწამლვას აწარმოებენ, დაწესებულ იქნას შესრულებული მუშაობის ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით. გაწამლული სათესლე მასალის მიღება კოლმეურნეობებში დაეკისროს აგრონომებს და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, სათანადო აქტების შედგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხისმგებლობა გაწამლვის ჩატარებისათვის ერთპიროვნულ მეურნეობებში დაეკისროს სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს:

დაევალოს სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს, პარტიის რაიკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეამოწმონ, თუ რამდენად მზად არიან კოლმეურნეობები და სასოფლო საბჭოები სათესლე მასალის გაწამლვისათვის, და დააწესონ კონტროლი მარცვლის გაწამლვის ღონისძიებათა მთელი სისტემის განხორციელების მიმართ.

18. დაევალოს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს სათესლე მასალის გაცემა აწარმოონ ისე, რომ გაცემული რაოდენობა სავსებით შეესაბამებოდეს დასათეს ფართობს და თესლის დაწესებულ ნორმას, თანახმად გამოწერილი გეგმა-განწესრიგებისა. თესლი გაცემულ უნდა იქნას მხოლოდ აწონით (№ 27 ფორმით). დაწესებულ იქნას კანტროლი თესლის გადაზიდვის მიმართ ბეღლიდან მინდორში და იმის მიმართ, რომ თესლი სავსებით გამოყენებულ იქნას თესვის მიზნებისათვის.

19. რადგან ბეღლები ძლიერ დაავადებულია და მუშაობა მათი დეზინსექციისათვის დამაკმაყოფილებელი არაა, წინადადება მიეცეს საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს, პარტიის რაიკომებს და რაიაღმასკომებს აუცილებლად ჩაატარონ კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში ბეღლების, ტომარ-ტარის, ტრიერების, სათესი მანქანების და მარცვლის გადაზიდვაზე გამოყენებული ტრანსპორტის დეზინფექცია; ამავე დროს უნდა ჩატარდეს ბეღლების დერატიზაცია (ვირთაგვებთან ბრძოლა).

20. ჩატარებულ იქნას კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და ერთპიროვნული მეურნეობების მიწის მთელ ფართობზე (სახნავი, საძოვარი და სათიბი) სისტემატური გამოკვლევა მინდვრის თაგვის გაჩენისა და განხორციელდეს ბრძოლა მასთან მთელ იმ ფართობზე, რომელზედაც იგი გაჩენილია, სავსებით მოსპობამდე.

21. დამთავრებულ იქნას ნოემბრის 1-მდე მთლიანი გამოკვლევა მინდვრებისა სასოფლო-სამეურნეო მავნებლების—კალიის, ველის ფარვანის, ბამბის, შაქრის ჭარხლის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების გაჩენის მხრივ.

22. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა სამინდვრე აპრობაციის მასალების საფუძველზე შეიმუშაოს გეგმა საშემოდგომო თესვისა ხარისხიანი თესლით და წარმოუდგინოს იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს აგვისტოს 30-თვის.

23. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა შეადგინონ ნაკელის გაზიდვის გეგმა იმ ანგარიშით, რომ სავსებით გამოყენებულ იქნას ნაკელის მთელი რაოდენობა, და წარმოუდგინონ იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს სექტემბრის 1-ისა.

24. დამტკიცებულ იქნას მძრალად ხვნის გეგმა 129.500 ჰექტარის ოდენობით; მათ რიცხვში: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში—7.800 ჰექტ., კოლმეურნეობებში—81.700 ჰექტ., აქედან იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები—63.000 ჰექტ., და ერთპიროვნულ მეურნეობებში—40.000 ჰექტ., შემდეგი განაწილებით მი რაიონებსა და კულტურებზე თანახმად საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი გეგმისა. მიენდოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—წარმოუდგინოს 5 დღის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად სხვა სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციების საბჭოთა მეურნეობებში მძრალად ხვნის გეგმა.

მძრალად ხვნის დამთავრების ვადა დაწესებულ იქნას ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, ბაშკიჩეთის და თიანეთის რაიონებისათვის—ნოემბრის 1, ხოლო ყველა დანარჩენი რაიონისათვის—ნოემბრის 15.

სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა უზრუნველყონ მძრალად ხვნა პირველ რიგში ტექნიკური კულტურებისათვის: თამბაქოსათვის—4.520 ჰექტ., ბამბისათვის—4.500 ჰექტ. და შაქრის ჭარხლისათვის—5.000 ჰექტ.

25. სარწყავ ნაკვეთებზე მარცვლოვანი კულტურების დათესვისთანავე აუცილებლად უნდა ჩატარდეს მორწყვა. სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებმა და წყალთა მეურნეობის სარაიონო ორგანოებმა შეადგინონ წყალსარგებლობის და წყლის განაწილების გეგმა ცალკეული სასოფლო საბჭოების და კოლმეურნეობების მიხედვით, ამასთან დაყვანილ იქნას ეს გეგმა სასოფლო საბჭოებამდე და კოლმეურნეობებამდე არა უგვიანეს ა/წ სექტემბრის 1-ისა.

26. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, გურჯაანის და სიღნაღის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად, მარცვლოვანი კულტურების მორწყვის ხაზით ფართო სამეურნეო ცდის ჩასატარებლად შეადგინოს მიმდინარე წლის საშემოდგომო ნათესების მორწყვის გეგმა აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობებისათვის და ალაზნის საბჭოთა მეურნეობისათვის.

27. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა დაამთავრონ საგეგმო დავალებათა დაყვანა კოლმეურნეობებამდე და ერთპიროვნულ მეურნეობებამდე არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 10-ისა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ.პ. (ბ) ც.კ.-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1935 წ. აგვისტოს 22. № 1099ა/.

ტფილისი.

თესლბრუნვის შემოღება კოლმეურნეობებში

რაიონები	გამოსწორებულ იქნას თესვის ბრუნვა		შემოღებულ იქნას თესლბრუნვა 1935 წლის შემოდგომიდან		სულ	
	კოლმეურნეობებში	ფართობზე	კოლმეურნეობებში	ფართობზე	კოლმეურნეობებში	ფართობზე
1. ახალქალაქის	18	10040	—	—	18	10040
2. ბოგდანოვკის	3	1080	—	—	3	1080
3. ახალციხის	2	1020	—	—	2	1020
4. ხაშურის	55	16200	45	5800	100	22000
5. გორის	48	11400	37	7600	85	19000
6. კასპის	40	9500	—	—	40	9500
7. ბორჯომის	7	430	—	—	3	430
8. გურჯაანის	35	4700	—	—	35	4700
9. სიღნაღის	21	11200	64	21300	85	32500
10. თელავის	34	8300	—	—	34	8300
11. ლაგოდეხის	6	1450	54	9050	60	10500
12. ტფილისის	12	2930	—	—	12	2930
13. ყარაიას	12	5670	6	600	18	6270
14. ბორჩალოს	50	20300	8	3200	68	23500
15. ლუქსემბურგის . . .	12	3230	—	—	12	3230
16. წალკის	4	1070	—	—	4	1070
17. დუშეთის	3	410	—	—	3	410
18. აღბულახის	17	5040	—	—	17	5040
19. საგარეჯოს	20	4110	—	—	20	4110
20. ბაშკიჩეთის	9	1820	—	—	9	1820
21. თიანეთის	5	1150	—	—	5	1150
22. სამხრეთ-ოსეთის . . .	16	3030	—	—	16	3030
სულ აღმოს. საქართვ. .	435	134080	214	47550	649	171630

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-9 მუხლის დანართი.

საშემოდგომო მარცვლოვანი კულტურების თესვის ვადები საქართველოს სსრ რაიონებში.

რაიონები	დასაწყისი	დასასრული
1. ახალქალაქის	25 აგვისტო	1 ოქტომბერი
2. ბოდანოვკის	25 აგვისტო	10 სექტემბერი
3. ახალციხის	10 სექტემბერი	10 ოქტომბერი
4. ადიგენის	10 სექტემბერი	10 ოქტომბერი
5. ასპინძის	10 სექტემბერი	10 ოქტომბერი
6. ხაშურის	15 აგვისტოს	25 ოქტომბერი
7. გორის	15 აგვისტოს	25 ოქტომბერს
8. კასპის	15 სექტემბერს	25 ოქტომბერს
9. ბორჯომის	10 სექტემბერს	20 ოქტომბერს
10. გურჯაანის	15 სექტემბერს	15 ოქტომბერს
11. სიღნაღის	15 სექტემბერს	15 ოქტომბერს
12. თელავის	10 სექტემბერს	15 ოქტომბერს
13. ყვარლის	25 სექტემბერს	25 ოქტომბერს
14. ლაგოდეხის	25 სექტემბერს	25 ოქტომბერს
15. ტფილისის	5 სექტემბერს	20 ოქტომბერს
16. ყარაიას	15 სექტემბერს	20 ოქტომბერს
17. ბორჩალოს	15 სექტემბერს	20 ოქტომბერს
18. ლუქსემბურ.	15 სექტემბერს	20 ოქტომბერს
19. დუშეთის	5 სექტემბერს	20 ოქტომბერს
20. აღბულახის	10 სექტემბერს	15 ოქტომბერს
21. საგარეჯოს	5 სექტემბერს	20 ოქტომბერს
22. ბაშკიჩეთის	5 სექტემბერს	10 ოქტომბერს
23. ფიანეთის	10 სექტემბერს	10 ოქტომბერს
24. სამხ.-ოსეთი	15 სექტემბერს	20 ოქტომბერს
25. ამბროლაურ.	10 სექტემბერს	20 ოქტომბერს
26. ონის	1 სექტემბერს	15 ოქტომბერს
27. ცაგერის	25 აგვისტოს	20 ოქტომბერს
28. ჭიათურის	25 აგვისტოს	20 ოქტომბერს
29. სამტრედიის	20 სექტემბერს	20 ოქტომბერს

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 208 №-ში 1935 წ. სექტემბრის 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

152. დადგენილება ს.კ.ს.

1935 წლის მოსავლიდან მარცვლეული კულტურების სადაზღვეო სათესლე ხელუხლებელი ფონდების დაგროვება-განახლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობანი ახდენენ ხელუხლებელი სადაზღვეო ფონდების დაგროვება-განახლებას სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მე-11 პუნქტის „გ“ ლიტერის შესაბამისად, თესლის წლიური საჭიროების 10-15 პროცენტის რაოდენობით.

ხელუხლებელი სადაზღვეო ფონდები კოლმეურნეობებმა უნდა დააგროვონ და განაახლონ 100-პროცენტიანი სათესლე ფონდების დაგროვებასთან ერთად.

2. ის კოლმეურნეობანი, რომლებსაც ამჟამად აქვთ წინა წლებში დაგროვილი სადაზღვეო ფონდები წლიური საჭიროების 10-15 პროცენტის რაოდენობით, ახდენენ მხოლოდ თესლის განახლებას მიმდინარე წლის მოსავლიდან.

ის კოლმეურნეობანი, რომლებსაც წინა წლებში დაგროვილი სადაზღვეო ფონდები წლიური საჭიროების 10-15 პროცენტზე ნაკლები რაოდენობითა აქვთ, შეავსებენ სადაზღვეო ფონდებს აღნიშნულ რაოდენობამდე და ამავე დროს განაახლებენ არსებულ სადაზღვეო ფონდებს.

ის კოლმეურნეობანი, რომლებშიაც წარსულ წლებში დაგროვილი ხელუხლებელი სადაზღვეო ფონდები თესლის წლიური საჭიროების 10-15 პროცენტს აღემატება, ახდენენ ზედმეტი თესლის განჯავშნას, ე. ი. გამორიცხავენ წლიური საჭიროების 10-15 პროცენტს ზევით დაგროვილ რაოდენობას და ამ გამორიცხულ გადანამეტს შეიტანენ მიმდინარე წლის მოსავალში, რათა შემდეგ გაანაწილონ კოლმეურნეებს შორის შრომა-დღეების მიხედვით, საერთო საფუძველზე.

ამასთანავე დატოვებული ხელუხლებელი სადაზღვეო ფონდი (10-15 პროცენტის ოდენობით) განახლდება მიმდინარე წლის მოსავლიდან.

3. ხელუხლებელი სადაზღვეო ფონდი კოლმეურნეობათა ბელლებში უნდა ინახებოდეს 100-პროცენტიან სათესლე ფონდისაგან განცალკევებით.

4. დაწესდეს, რომ ერთპიროვნული მეურნეობანი ახდენენ ხელუხლებელი სადაზღვეო ფონდების დაგროვება-განახლებას თესლის წლიური საჭიროების 15 პროცენტის რაოდენობით.

დასაგროვებელ-განსაახლებელ ხელუხლებელ სადაზღვეო ფონდებს ანაწილებს ერთპიროვნულ მეურნეებზე სასოფლო საბჭო სათესი ფართობის შესაბამისად, მიმდინარე სამეურნეო წლისათვის მიცემული გეგმა-განრიგის თანახმად.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც წარსულ წლებში შექმნილი დაგროვილი ფონდები არსებობს თესლის წლიური საჭიროების 15 პროცენტის და მეტი რაოდენობით, სასოფლო საბჭოები მხოლოდ განაახლებინებენ ერთპიროვნულ მეურნეობებს თესლს მიმდინარე წლის მოსავლიდან; უკეთუ სადაზღვეო ფონდები წლიური საჭიროების 15 პროცენტზე ნაკლებია, სადაზღვეო ფონდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეივსება აღნიშნულ რაოდენობამდე და ამავე დროს განახლდება სადაზღვევო ფონდების არსებული რაოდენობა.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ერთი დეკადის ვადაზე შემოიტანოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში პროექტი ახალი დებულებისა სადაზღვევო სათესლე ფონდების შესახებ, ამჟამად მოქმედი 1933 წ. ნოემბრის 4-ის დებულების (საქ. სსრ კან. კრ., 1933 წ. № 22, მუხ. 289) გასაუქმებლად და შესაცვლელად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. აგვისტოს 10. № 1047.
ტფილისი.

ვაჭრობა. მომარაგება.

153. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, 1935 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებამდე, თამბაქოს ნედლეულის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

აკრძალულ იქნას 1935 წ. სექტემბრის 1-დან, 1935 წლის თამბაქოს კონტრაქტაციით ნაკისრ ვალდებულებათა საქართველოს სსრ-ში მთლად შესრულებამდე, თამბაქოს ნედლეულის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. აგვისტოს 31. № 1163.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 203 №-ში 1935 წ. სექტემბრის 1.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

642
055.1

154. დადგენილება ს.კ.ს.

ადგილობრივი საბჭოების მიერ მუშათა და გლეხთა მილიციის დაწესებულებების და ნაწილებისათვის გასაწევი კომუნალური მომსახურეობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნას, რომ იმ კომუნალური მომსახურეობის სასყიდლის ნიხრს, რასაც ადგილობრივი საბჭოები უწევენ მუშათა და გლეხთა მილიციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებულებებს და ნაწილებს, სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფთ, განსაზღვრავს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რესპუბლიკანურ სამმართველოსთან შეთანხმებით.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ნიხრით კომუნალური მომსახურეობა მუშათა და გლეხთა მილიციის დაწესებულებებს და ნაწილებს უნდა გაეწიოს იმ კომუნალური მომსახურეობის ნორმების მიხედვით, რასაც ადგილობრივი საბჭოები უწევენ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნაწილებს და დაწესებულებებს (სსრკ კან. კრ. 1927 წ. მე-5 №-ი, მუხ. 51; 1928 წ. 53 №-ი, მუხ. 494).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1935 წ. აგვისტოს 21. № 1092.
ტფილისი.

ფინანსები

155. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი უწყებებისა და დაწესებულებების სპეციალურ სახსართა დებულების გაუქმების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1935 წ. მაისის 26-ის სახელმწიფო, რესპუბლიკანურ (ავტონომიურ), საოლქო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ სახსართა დებულების მიღების გამო (ა/კსფსრ სკს და უეს გაერთიანებული სხდომის ოქმი № 4, § 16), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. თებერვლის 22-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი უწყებებისა და დაწესებულებების სპეციალურ სახსართა შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-8 №-ი, მუხ. 83) გაუქმებულ იქნას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1935 წ. აგვისტოს 21. № 1088.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

156. დადგენილება ს.კ.ს.

არაკოოპერირებულ საშინამრეწველო-სახელოსნო სარეწაოების მუდმივი შემოსავლის მქონე კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადიდებული განაკვეთების შესახებ.

„1935 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“ გამოცემულ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის მაისის 31-ის დადგენილების 111 მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე (სსრკ-ის კან. კრ. 1935 წ. 30 № ი, მუხ. 232) და „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1935 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემული საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის ივნისის 8-ის დადგენილების დასამატებლად (საქ. სსრ-ის კან. კრ. 1935 წ., 18 №-ი მუხ. 112), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემდეგი გადიდებული განაკვეთები, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნულ 1935 წლის ივნისის 8-ის დადგენილების № 1 დანართით გათვალისწინებულ განაკვეთებთან შედარებით, კოლმეურნეთა იმ მეურნეობებისათვის, რომელთაც განუსაზოგადოებელი სოფლის მეურნეობის შემოსავალთან ერთად, აქვთ არაკოოპერირებულ საშინამრეწველო-სახელოსნო სარეწაოების მუდმივი შემოსავალიც:

ა) მეურნეობებისათვის, რომელნიც მეჭურჭლეობის რეწაობას მისდევენ—40%-ით;

ბ) მეურნეობებისათვის, რომელთაც თავის შემადგენლობაში ჰყავთ საპარიკმახერო რეწაობის მიმდევარი პირები—40%-ით;

გ) მეურნეობებისათვის რომელნიც სამჭედლო რეწაობას მისდევენ—45%-ით;

დ) მეურნეობებისათვის, რომელნიც სხვა რეწაობას მისდევენ, ან რომელთაც თავის შემადგენლობაში ჰყავთ სხვა რეწაობის მიმდევარი პირები—50%-ით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1935 წ. აგვისტოს 21. № 1085.

ტფილისი.

სისხლის სამართალი

157. დადგენილება ც.ბ.კ. და ს.კ.ს.

კოლმეურნეთაგან ნასამართლეობის მოხსნის შესახებ.

„კოლმეურნეთაგან ნასამართლეობის მოხსნის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა

საბჭოს 1935 წ. ივლისის 29-ის დადგენილებისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წ. აგვისტოს 5-ის ღადგენილების შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოეხსნათ ნასამართლეობა იმ კოლმეურნეებს, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა, ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი, და რომელთაც 1935 წ. ივლისის 29-მდე მოიხადეს სასჯელი ან განთავისუფლებულ არიან ვადამდე, უკეთუ ისინი ამჟამად კეთილსინდისიერად და პატიოსნად მუშაობენ კოლექტიურ მეურნეობებში, თუნდაც ისინი დანაშაულის ჩადენის მომენტში ერთპიროვნული მეურნენი ყოფილიყვნენ.

2. ამა დადგენილების მოქმედება არა ვრცელდება:

ა) იმაზე, ვინც მსჯავრდადებულია კონტრრევოლუციონური დანაშაულისათვის და განსაკუთრებით საშიში დანაშაულისათვის მმართველობის წესის წინააღმდეგ;

ბ) რეციდივისტებზე;

გ) იმათზე, ვინც მსჯავრდადებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (მარცვლეულისა, ხორცეულისა, რძისა და სხვ.) ჩაბარების ვალდებულებათა ბოროტეულად სისტემატური შეუსრულებლობისათვის.

3. ნასამართლეობის მოხსნა ათავისუფლებს 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთ დამატებითი სასჯელისაგან, რაც დანიშნულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლის „გ", „თ" და „ი" პუნქტების მიხედვით, და აგრეთვე აუქმებს მათ მიერ პასპორტის მიღების აღკვეთას, უკეთუ ასეთი შეზღუდვისათვის არ არსებობს სხვა საფუძველი.

4. ამა დადგენილების განხორციელებისათვის მოწყობილ იქნას კომისიები:

ა) სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან — სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და რესპუბლიკის პროკურორის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რესპუბლიკანური სამმართველოს უფროსის შედგენილობით;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან — ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და რესპუბლიკის (ოლქის) პროკურორის, უმაღლესი (მთავარი) სასამართლოს თავმჯდომარისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რესპუბლიკანური (საოლქო) სამმართველოს უფროსის შედგენილობით;

გ) სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებთან — სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის და საოლქო საბჭოს (კუთვნილე-

ბისამებრ) თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და სარაიონო (საქალაქო) პრო-კურორის, სახალხო მოსამართლისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი სამმართველოს უფროსის შედგენილობით.

5. მე-4 მუხლში აღნიშნულმა კომისიებმა უნდა იხელმძღვანელონ სსრ კავშირის პროკურატურისა, უზენაესი სასამართლოს და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული ინსტრუქცია.

6. მუშაობა ამა დადგენილების შესაბამისად კოლმეურნეთაგან ნასამართლეობის მოხსნისათვის დამთავრებულ იქნას 1935 წ. ნოემბრის 1-ისათვის.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. ა. **თ. ულენტი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ვ. ყურულაშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ვაშაკიძე.**

1935 წ. აგვისტოს 15. № 69/1068.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 201 №-ში 1935 წ. აგვისტოს 29.

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 51. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 1½ ბეჭდვ. ფურც.; 48.500 სტამბ. ნიშანი.

გადაეცა სტამბას 9/IX; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/X; ტირაჟი 1.800.

მთავლ. რწმ. № 8702. საქ. სსრ სახკომსაბჭოს სტამბა. შეკვ. № 1238